რეალიზაცია, ძირითადად, ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებში ან ზარალში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღიარებულ ვალდებულებებს, რომელსაც პროცენტი არ ერიცხება. სავაჭრო ვალდებულებების კორექტირება აისახება კორექტირების თარიღით. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს სავაჭრო უცხოურ ვალუტში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულებში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებულის სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის .მეთოდით და აისახება ფინანსურ დანახარჯებში.

დაქირავებულ მომუშავეთა გასამსრჯელოები

დაქირავებულ მომუშავეთა გასამსრჯელოების ვალდებულება განისაზღვრება შრომითი ხელშეკრულებიდან გამომდინარე. ერთჯერადად დაქირავებულის მომსახურების ანაზღაურების ღირებულება განისაზღვრება ჩატარებული სამუშაოების მიღება ჩაბარების აქტის ან გასავლის ორდერის მიხედვით. გასავლის ორდერში მითითებულია შესრულებული სამუშაო და ღირებულება და თანხის მიღება. ყველაფერი ზემოთ ჩამოთვლილი დასტურდება შესაბამისი ხელმოწერებით.

ანარიცხები საგარანტიო ვალდებულებებისათვის

კომპანიის მიერ ზოგიერთ გაყიდულ საქონელს ახლავს მწარმოებლის გარანტია, რომ მას საგარანტიო ვადის განმავლობაში არ აღმოჩნდება საწარმოო წუნი. რადგან გარანტია გაცემულია მწარმოებლის და არა შპს „ბრიკო კავკასუსის“ მიერ საგარანტიო მომსახურება ხორციელდება მწარმოებელი კომპანიის მიერ ავტორიზებულ სერვის ცენტრებში და შესაბამისად კომპანიის მიერ ასეთი ტიპის მომსახურების ხარჯად აღიარება არ ხდება. რაც შეეხება უშუალოდ კომპანიის მიერ გაცემულ გარანტიას კომპანია ასეთ სერვისს მომხმარებელს არ სთავაზობს. კომპანია გაყიდვიდან 3 დღის ვადაში მყიდველს უცვლის პროდუქციას წუნის აღმოჩენის შემთხვევაში. აღსანიშნავია რომ მომწოდებელი უნაზღაურებს კომპანიას წუნდებული საქონლის ღირებულებას და მის შეძენაზე დახარჯულ ზედნაღებ ხარჯებს.

1. ფულადი სახსრები და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები	31-დეკ-21	31-დეკ-20
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	10,975	26,780
ნაღდი ფული უცხოურ ვალუტაში	-	-
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკებში	12,956	27,485
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკებში	-	62
ფული სხვა საბანკო ანგარიშებზე	10,068	9,594
სულ ფული და ფულის ექვივალენტები	33,999	63,922

2. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებები	31-დეკ-21	31-დეკ-20
მოთხოვნები იურდიულ პირებზე საქონლის მიწოდებიდან	117,533	132,045
მოთხოვნები იურიდიულ პირებზე მომსახურების გაწევიდან(ადგილობრივი)	2,668	498
მოთხოვნები დისტრიბუციის კომპანიებზე საქონლის მიწოდებიდან	59,417	53,330
მოთხოვნები ფიზიკურ პირებზე რეალიზაციიდან	347	778
გაცემული ავანსები	103,481	626,602
სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	-	-
სულ სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებები	283,446	813,253

3. საქონლო-მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	31-დეკ-21	31-დეკ-20
საქონელი	6,432,729	5,456,382
სხვა სასაქონლო-მატერიალური მარაგები	8,331	67,975
სულ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	6,441,060	5,524,357

4. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები დაყოფილია კატეგორიებად. რომლებიც გაერთიანებულია ჯგუფებში 1 ჯგუფში შედის მსუბუქი ავტომობილების კატეგორია, მე-2 ჯგუფში შედის ავეჯი ოფისისათვის, ელექტრონული მოწყობილობა, კომპიუტერი, მაღაზიის აღჭურვილობა, სარეკლამო მოწყობილობა და სტენდი., ხოლო მესამე ჯგუფში შედის იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა.

დასახელება	მანქანა დანადგარები	ოფისის აღჭურვილობა	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	დაუმთავრებელი მშენებლობა	ღირებულება
ბალანსი 31- დეკ-20	506,580	2,339,423	17,393	1,373	2,864,769
მატება	-	93,625	70,001	114,825	278,451
ჩამოწერა	(286,823)	(53)	-	(116,198)	(403,074)
ბალანსი 31- დეკ-21	219,756	2,432,995	87,394	-	2,740,145
დაგროვილი ცვეთა	მანქანა დანადგარების ცვეთა	ოფისის აღჭურვილობის ცვეთა	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობის ცვეთა	დაუმთავრებელი მშენებლობის ცვეთა	ღირებულება
ბალანსი 31- დეკ-20	(192,159)	(859,682)	(6,259)	-	(1,058,100)
ცვეთის ხარჯი	(32,927)	(236,872)	(9,930)	-	(279,729)
ჩამოწერა	127,527	938	-	-	128,465
ბალანსი 31- დეკ-21	(97,558)	(1,095,616)	(16,189)	-	(1,209,364)
ნარჩენი ღირებულება ბალანსი 31- დეკ-20	314,421	1,479,741	11,134	1,373	1,806,669
ბალანსი 31- დეკ-21	122,198	1,337,379	71,205	-	1,530,782

5. არამატერიალური აქტივები

პროგრამული უზრუნველყოფა: არამატერიალური აქტივი შეადგენს საღრიცხოვო პროგრამა APEX-ს. საღრიცხოვო პროგრამის დანერგვა და სესაბამისად კაპიტალიზაციის დასრულდა 2017 წელს ცვეთა ერიცხება წრფივი მეთოდით 6.67%-იანი განაკვეთით

ბალანსი

	პროგრამული უზრუნველყოფა	სხვა არამატერიალური აქტივები	ღირებულება
ბალანსი 31-დეკ-19	110,141	1,600,000	1,710,141
მატება	7,627	418,968	426,595
ჩამოწერა	(280,135)	-	(280,135)
ბალანსი 31-დეკ-20	117,769	1,738,833	1,856,602
მატება	6,600	296,650	303,250
ჩამოწერა	-	(296,650)	(296,650)
ბალანსი 31-დეკ-21	124,369	1,738,833	1,863,202

დაგროვილი ცვეთა	პროგრამული უზრუნველყოფა	სხვა არამატერიალური აქტივები	ღირებულება
ბალანსი 31-დეკ-19	(24,219)	-	(24,219)
ცვეთის ხარჯი	-	280,135	280,135
ჩამოწერა	(7,346)	(280,135)	(287,481)
ბალანსი 31-დეკ-20	(31,565)	-	(31,565)
ცვეთის ხარჯი	(8,354)	(296,650)	(305,004)
ჩამოწერა	-	296,650	296,650
ბალანსი 31-დეკ-21	(39,919)	-	(39,919)

ბალანსი 31-დეკ-19	85,922	1,600,000	1,685,922
ბალანსი 31-დეკ-20	86,203	1,738,833	1,825,036
ბალანსი 31-დეკ-21	84,449	1,738,833	1,823,283

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით აღიარებული იქნა არამატერიალურ აქტივად კომპანია ბრიკო კავკასუსის მხრიდან მიღებული ფრანშიზა. დამოუკიდებელი ექსპერტის მიერ იგი შეფასებული იქნა 346 000 ლარად. 2019 წელს მოცემული არამატერიალური აქტივი აფასდა 1 600 000 ლარამდე, 2020 და 2021 წლის მდგომარეობით კი კომპანიას არ მოუხდენია აქტივის გადაფასება, შედეგად ღირებულება დარჩა უცვლელი.

6. სესხი და საბანკო გარანტია

2019 წელს კომპანიას გააჩნდა თიბისი ბანკის სასახო ვალდებულება აშშ დოლარში და ევროში. ორივე სესხი წარმოადგენს მოკლევადიან(ერთ წლამდე) საკრედიტო ხაზს. საკრედიტო ხაზის ლიმიტი შეადგენს 100,000 დოლარს და 100,000 ევროს. წლიური საპროცენტო განაკვეთი შესაბამისად შეადგენს 8%-ს და 7 პროცენტს. დამატებული გაცემის მომენტში დაფიქსირებული ეუბორის 6 თვიანი განაკვეთი, დამრგვალებული მეასედის სიზუსტით. ორივე სესხზე პროცენტის დარიცხვა ხდება ყოველ თვითურად ათვისებული ძირის მიხედვით. 2019 წლის ბოლოსათვის ორივე სესხიდან საბანკო ვალდებულება შეადგენდა 603,078.98 ლარს. 2020 წლის ბოლოს არსებულ მოკლევადიან საბანკო ვალდებულებას დაემატა თიბისი ბანკისგან აღებული გრძელვადიანი სესხი ევროში, საკრედიტო თანხა შეადგენს 200,000 ევროს, ხოლო საპროცენტო განაკვეთი 6%. საბოლოო ჯამში 2020 წლის ბოლოს საკრედიტო ვალდებულება შეადგენს 771,468 ლარი-მოკლევადიანი, ხოლო გრძელვადიანი 500,659 ლარი. 2021 წლის მდგომარეობით არ მომხდარა ახალი სესხის აღება, რის შედეგადაც მოკლევადიანმა საკრედიტო ვალდებულებამ შეადგინა 1,237,969 ლარი, ხოლო გრძელვადიანმა 692,355 ლარი

7. სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	31-დეკ-21	31-დეკ-20
ადგილობრივი საქონლის შეძენიდან წარმოქმნილი ვალდებულება	1,710,099	1,504,670
იმპორტირებული საქონლის შეძენიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	313,778	117,432
ვალდებულებები ძირითადი საშუალების შეძენიდან	438	107,127
სატრანსპორტო მომსახურეობის მოწოდებიდან წარმოქმნილი ვალდებულება	123,038	66,332
მომსახურეობიდან წარმოქმნილი ვალდებულება	205,933	68,046
არარეზიდენტი პირების მომსახურება	240,370	155,439
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	43,353	21,759
სარეკლამო მომსახურეობიდან წარმოქმნილი ვალდებულება	121,024	149,592
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	2,758,033	2,190,397

8. კაპიტალი

ქვემოთ გთავაზობთ კაპიტალში ცვლილების დეტალიზაციას

	საწესდებ ო კაპიტალი	საწესდებო კაპიტალის ცვლილება	გაუნაწილებელ ი მოგება	პერიოდის მოგება ზარალი	სხვა რეზერვი და დაფინანსებ ა	სულ კაპიტალ ი
წლის შემოსავალი	-	(375,883)	-	(444,461)	-	
ნაშთ 31 დეკემბერი 2020	5,820,759	-	(1,015,167)	-	1,600,000	6,405,592
წლის შემოსავალი	-	(183,368)	-	(873,509)	-	
ნაშთ 31 დეკემბერი 2021	5,637,391	-	(1,888,676)	-	1,600,000	5,348,715

9. შემოსავლები

შემოსავლების ძირითადი ნაწილი მოიცავს შემოსავლებს რეალიზაციიდან, როგორც საცალო ასევე მცირე საბითუმო მყიდველებისთვის დანარჩენი შემოსავალი წარმოადგენს სხვა საოპერაციო შემოსავალს. სხვა შემოსავალი მოიცავს 2021 და 2020 წლებში საიჯარო, სატრანსპორტო, სარეკლამო და მერჩენდაიზური მომსახურებიდან მიღებულ შემოსავლებს, საქონლის იმპორტის დროს გამყიდველის მხრიდან საქონლის დანაკლისის ან დაზიანების ანაზღაურებას და შემოსულობას ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან.

შემოსავალი	2021	2020
შემოსავალი რეალიზაციიდან	7,447,953	7,641,287
სხვა საოპერაციო შემოსავალი	279,473	101,505
სულ შემოსავალი	7,727,426	7,742,792

10. დაბეგვრამდე მოგება

დაბეგვრამდე მოგების განსაზღვრისას ჩართულია შემდეგი ხარჯები:

შემოსავალი	2021	2020
რეალიზებული პროდუქტის თვითღირებულება	(4,472,131)	(4,100,528)
ცვეთა და ამორტიზაცია	(583,794)	(547,635)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	(3,482,502)	(3,339,644)
შემოსავალი/ზარალი საკურსო სხვაობიდან	192,753	(231,467)
საპროცენტო ხარჯები	(153,396)	(45,554)
სხვა არასაოპერაციო ხარჯი	(163,035)	(7,353)
სულ შემოსავალი	(8,662,106)	(8,272,180)

11. თავის მხრივ საოპერაციო და ადმინისტრაციული ხარჯები შედგება:

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	31-დეკ-21	31-დეკ-20
შრომის ანაზღაურება	1,729,133	1,730,604
საიჯარო ქირა	884,058	596,390
რეკლამის ხარჯი	430,797	536,679
ცვეთა და ამორტიზაცია	583,794	547,635
კომუნალური ხარჯები	190,036	115,708
ბანკის საკომისიო	75,910	78,374
მივლინების ხარჯი	3,651	41,268
მომსახურების ხარჯი	22,494	21,675
ტრანსპორტის მომსახურების ხარჯები	4,721	16,839
ტელე-კომუნიკაციის ხარჯები	24,437	27,246
სხვა საერთო ხარჯი	40,435	78,256
სამეურნეო ხარჯი	17,640	26,450
საკონსულტაციო მომსახურების ხარჯი	13,200	12,060
საწვავის ხარჯი	5,264	8,865
სადაზღვევო ხარჯები	-	13,003
პროგრამული უზრუნველყოფის ხარჯები	10,200	5,500
ფინანსური მომსახურების ხარჯები	14,037	10,000
ძირითადი საშუალებების ექსპლუატაციის ხარჯები	10,411	14,117
საკანცელარიო ხარჯები	2,786	2,034
წარმომადგენლობითი ხარჯები	950	1,408
დაცვის მომსახურების ხარჯები	2,064	2,744
ტექნიკური მომსახურების ხარჯი	277	424
სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	4,066,297	3,887,279

შრომის ანაზღაურების ხარჯი	31-დეკ-21	31-დეკ-20
ხელფასი	1,696,642	1,658,638
მომსახურება ფიზიკური პირების	2,462	32,397
მომსახურება გაყიდვების საკომისიო	-	10,575
საპენსიო	30,029	28,994
სულ შრომის ანაზღაურების ხარჯი	1,729,133	1,730,604

12. გადავადებული გადასახადი

კომპანიას გადავადებული გადასახდის ვალდებულება არ ერიცხება

13. საგარანტო ვალდებულებების ანარიცხები

საგარანტო ანარიცხი არ შექმნილა, რადგან საქონელი იყიდება მწარმოებელი გარანტიით

14. დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოების ვალდებულება

ქვემოთ გთავაზობთ ხელფასების გადანაწილების ცხრილს

	2021 წელი	2020 წელი
გადასახდელი ხელფასები ადმინისტრაცია	730,224	655,920
გადასახდელი ხელფასი მაღაზია	787,550	798,497
გადასახდელი ხელფასი დაცვა	204,531	232,072
ჯამი	1,722,305	1,686,489

15. ჩვეულებრივი იჯარის ვალდებულებები

კომპანიას ჩვეულებრივი იჯარით აღებული აქვს სამაღაზიო და სასაწყობო ფართი. იჯარის ხელშეკრულება საშუალო ვადა ხუთი წელი (კომპანია ბრიკო კავკასუსის ფრანშიზას პერიოდი) თვეში ერთხელ ვადაში გათვალისწინებულია ფიქსირებული საიჯარო გადასახადების გადახდა. ჩვეულებრივი იჯარით გათვალისწინებული საიჯარო გადასახდელები, რომლებიც მიმდინარე წლეს აღიარებულია ხარჯად შეადგენს 2020-ში 596,390 , ხოლო 2021-ში 884,058ლარს.

16. პირობითი ვალდებულებები

პირობითი ვალდებულებები კომპანიას არ უფიქსირდება

17. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ დასკვნის გაშვებამდე მნიშვნელოვანი მოვლენები არ დაფიქსირებულა.

18. ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები ან ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან, როგორც განსაზღვრულია IAS 24 -ით „შენიშვნები დაკავშირებული მხარეების შესახებ“, წარმოადგენს :

- (a) მხარეები, რომლებიც პირდაპირ ან ირიბად ,ერთი ან მეტი შუამავალის მეშვეობით: აკონტორლებს ან კონტროლდება, ან არის საერთო კონტროლის ქვეშ დაქვემდებარებული კომპანია (მათ შორის, მშობლები, შვილობილი კომპანიები და თანამზრახველები); ფლობს წილს კომპანიაში, რომელიც აძლევს მნიშვნელოვანი გავლენის შესაძლებლობას და რომელსაც აქვს კომპანიაზე ერთობლივი კონტროლი;
- (b) პარტნიორი საწარმო - საწარმოები, რომლებზეც კომპანიას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა და რომელიც არ არის არც შვილობილი კომპანია და არც ერთობლივ საწარმო.
- (c) ერთობლივი საწარმოები, სადაც კომპანია წარმოადგენს საწარმოს;
- (d) კომპანიის ან მისი მშობლის მმართველი პერსონალი.
- (e) ოჯახის ახლო წევრები, რომელიც ნახსენებია (ა) ან (დ)-ში;
- (f) მხარე, რომელიც კონტროლდება, ერთობლივად კონტროლდება ან განიცდის მნიშვნელოვან გავლენას, ან რომელზეც მნიშვნელოვანი ხმის უფლება აქვს, პირდაპირ ან ირიბად, (დ) ან (ე)-ში ნახსენებ ინდივიდუალებს.
- (g) დასაქმების შემდგომი შეღავათების სისტემა თანამშრომლებისთვის ან მხარისთვის, რომელიც არის დაკავშირებული კომპანია.

შემდგომი ოპერაციები განხორციელდა დაკავშირებულ მხარეებთან:

მენეჯმენტის ანაზღაურება	2021	2020
ხელფასები და სხვა თანამშრომელთა მოკლევადიანი სარგებელი	279,324	159,847
სულ	279,324	159,847

იურიდიული პირის დასახელება	2021	2020
შპს ბელუქსუ	180,740	3,004
კომფორტ ჯორჯია	128,216	161,495
ი/მ მამუკა დოლიძე	1,034,690	692,531
ი/მ თეიმურაზ დოლიძე	23,307	4,904

სულ	1,366,953	861,933
-----	-----------	---------

19. ფინანსური რისკები

კომპანიის საქმიანობა დაკავშირებულია სხვადასხვა ფინანსურ რისკთან. ესენია სავალუტო, საკრედიტო და ლიკვიდობის რისკები. კომპანიის რისკის მართვა მიზნად ისახავს კომპანიის ფინანსურ საქმიანობაზე უარყოფითი გავლენის მაქსიმალურად შემცირებას. სავალუტო რისკი არის საფრთხე, რომ ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულება სავალუტო კურსის ცვლილების გამო შეიცვლება. თუ გავითვალისწინებთ იმას რომ კომპანიის მომწოდებლებიდან მნიშვნელოვანი რაოდენობა არის უცხოელი მომწოდებელი, მაგრამ საქონლის შეძენა ხდება წინასწარი გადახდის პირობით რაც ნიშნავს რომ კომპანია არ ექვემდებარება კრედიტორული დავალიანების გადაფასებით გამოწვეული ფინანსური რისკებს. თუმცა აუცილებელია სარეალიზაციო პროდუქციის ფასების სწორად დადგენა, რათა არ მოხდეს საბრუნავი თანხების განუზომელი ზრდა შესასყიდი პროდუქციის ლარაებში ღირებულების გაზრდის გამო

20. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცდა 2022 წლის 28 სექტემბერს.

შპს „ბრიკო კავკასუს“-ის დირექტორი
მამუკა დოლიძე

შპს „ბრიკო კავკასუს“-ის ფინანსური დირექტორი
კახაბერ სონიშვილი

იურიდიული პირის დასახელება	2021	2020
შპს ბელუქსუ	180,740	3,004
კომფორტ ჯორჯია	128,216	161,495
ი/მ მამუკა დოლიძე	1,034,690	692,531
ი/მ თეიმურაზ დოლიძე	23,307	4,904
სულ	1,366,953	861,933

19. ფინანსური რისკები

კომპანიის საქმიანობა დაკავშირებულია სხვადასხვა ფინანსურ რისკთან. ესენია სავალუტო, საკრედიტო და ლიკვიდობის რისკები. კომპანიის რისკის მართვა მიზნად ისახავს კომპანიის ფინანსურ საქმიანობაზე უარყოფითი გავლენის მაქსიმალურად შემცირებას. სავალუტო რისკი არის საფრთხე, რომ ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულება სავალუტო კურსის ცვლილების გამო შეიცვლება. თუ გავითვალისწინებთ იმას რომ კომპანიის მომწოდებლებიდან მნიშვნელოვანი რაოდენობა არის უცხოელი მომწოდებელი, მაგრამ საქონლის შეძენა ხდება წინასწარი გადახდის პირობით რაც ნიშნავს რომ კომპანია არ ექვემდებარება კრედიტორული დავალიანების გადაფასებით გამოწვეული ფინანსური რისკებს. თუმცა აუცილებელია სარეალიზაციო პროდუქციის ფასების სწორად დადგენა, რათა არ მოხდეს საბრუნავი თანხების განუზომელი ზრდა შესასყიდი პროდუქციის ლარაებში ღირებულების გაზრდის გამო

20. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცდა 2022 წლის 28 სექტემბერს.

შპს „ბრიკო კავკასუს“-ის დირექტორი
მამუკა დოლიძე




შპს „ბრიკო კავკასუს“-ის ფინანსური დირექტორი
კახაბერ სონიშვილი



შპს „ბრიკო კავკასუს“
მმართველობის ანაგრიშგება
2021 წლის 31 დეკემბრისათვის
და
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „ბრიკო კავკასუსის“ მფლობელებს და ხელმძღვანელობას:

მმართველობის ანგარიშგების დასკვნა

მოსაზრება მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი აზრით, მმართველობის ანგარიშგების კანონით განსაზღვრული ნაწილები შეესაბამება ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ კანონის მოთხოვნებს, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით.

მოსაზრების საფუძველი

ჩვენმა კომპანიამ ჩაატარა შპს „ბრიკო კავკასუსის“ თანხლები 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის მმართველობის ანგარიშგების შემოწმება. შპს „ბრიკო კავკასუსის“ მენეჯმენტი სრულად პასუხისმგებელია კომპანიის მმართველობის ანგარიშის მომზადებაზე საქართველოს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ კანონის შესაბამისად.

სს „ფი-ქეი-ეფ კაიზენმა“ ჩაატარა შემოწმება ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად.

აღნიშნული კანონის შესაბამისად საჭიროა კომპანიის მმართველობის ანგარიშგების აუდიტის დაგეგმვა და შესრულება გონივრული გარანტიების მისაღებად, თუ რამდენად შეესაბამება კომპანიის მმართველობის ანგარიშგება მოთხოვნილ სტანდარტებს, ფინანსურ ანგარიშგებას, აუდიტის შედეგებს, მთლიანობაში რამდენად სათანადოდ ასახავს კომპანიის პოზიციას და წარმოაჩენს მომავალი განვითარების შესაძლებლობებსა და რისკებს.

ჩვენ დამოუკიდებელი ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს „პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის“ შესაბამისად. გარდა ამისა, შევასრულეთ აღნიშნული კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. ჩვენ ვთვლით, რომ ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

გარიგების პარტნიორი

გოჩა ჭოლოკავა

სს „ფი-ქეი-ეფ კაიზენი“

28 სექტემბერი, 2022 წელი





ხელმძღვანელობის ანგარიში - საქმიანობის მიმოხილვა, 2021 წ

ხელმძღვანელობა წარმოადგენს წინამდებარე ხელმძღვანელობის ანგარიშს და შპს „ბრიკო კავკასუსის“ (შემდგომში - „კომპანია“) აუდიტებულ ფინანსურ ანგარიშგებას 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის.

დაფუძნება

კომპანია დაფუძნდა საქართველოში, ქ. თბილისში, 2014 წლის ოქტომბერში, კერძო შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების სახით, მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონით გათვალისწინებული დებულებების თანახმად. კომპანიის მფლობელობის წილები განაწილებულია შემდეგნაირად: წილის 51%-ს ფლობს თეიმურაზ დოლიძე (01008001285), წილის 19%-ს ფლობს თეონა დოლიძე (01008001286), დარჩენილ 30%-ს კი მამუკა დოლიძე (01008001378)

კომპანიის ძირითადი საქმიანობა და ოპერაციების არსი

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა სამშენებლო მასალების და საყოფაცხოვრებო საქონლის საცალო და საბითუმო ვაჭრობა, „თვითმომსახურების“ ტიპის მაღაზიების ქსელის საშუალებით, „ბრიკო კავკასუსის“ სავაჭრო ნიშნის სახელწოდებით. აღნიშნული სავაჭრო ნიშანი შეიქმნა საფრანგეთში და რეკლამირებულ იქნა ადგილობრივად. კომპანიის შიდა პოლიტიკა და პროცედურები და მარკეტინგული საქმიანობა ვითარდება კომპანიის ფარგლებში.

ვაჭრობის თვალსაზრისით, კომპანია კონცენტრირდება და საკუთარ თავს ექსპერტად მიიჩნევს შემდეგ ოთხ „ოჯახებში“ შემავალ პროდუქციაში: მშენებლობა, რემონტი, დეკორაცია, ეზო.

კომპანიის მიმდინარე მდგომარეობის, სამომავლო მოვლენებისა და საქმიანობის მიმოხილვა

კომპანიის განვითარება დღემდე, ფინანსური შედეგები და მდგომარეობა, როგორც ეს წარმოდგენილია წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში, ითვლება დამაკმაყოფილებლად.

2021 და 2020 წლის განმავლობაში კომპანიის ფინანსური მდგომარეობა იყო შემდეგი:

დასახელება	2021	2020
შემოსავალი რეალიზაციიდან	7,447,953	7,641,287
რეალიზებული პროდუქტის თვითღირებულება	(4,472,131)	(4,100,528)
საერთო მოგება	2,975,822	3,540,759
სხვა საოპერაციო შემოსავალი	279,473	101,505
ცვეთა და ამორტიზაცია	(583,794)	(547,635)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	(3,482,502)	(3,339,644)
საოპერაციო მოგება	(811,001)	(245,015)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	63,349	85,056
შემოსავალი/ზარალი საკურსო სხვაობიდან	192,753	(231,467)
საპროცენტო ხარჯები	(153,396)	(45,554)

სხვა არასაოპერაციო ხარჯი	(163,035)	(7,353)
მოგება დაბეგრვამდე	(871,330)	(444,332)
მოგების გადასახადი ხარჯი	(2,179)	(129)
წმინდა მოგება	(873,509)	(444,461)

მთლიანი მოგების კლება ძირითადად შემდეგი ფაქტორებით არის განპირობებული: 1.ძირითადი საშუალებების შეძენა; 2. არამატერიალური აქტივების შეძენა; 3. უცხოურ ვალუტაში აღებული სესხი და მისგან გამოწვეული საკურსო სხვაობა; 4. კოვიდ პანდემიისგან გამოწვეული შემოსავლის შემცირება.

კომპანია გეგმავს შეიმუშაოს და გაზარდოს მისი ამჟამინდელი საბაზრო წილი, თავისი მომხმარებლების მიმართ განსაკუთრებული საცალო ვაჭრობის გამოცდილების უზრუნველყოფით, მისი ფართო ასორტიმენტის გაზრდით და დარეგულირებით, ასევე მაღალი ხარისხის მომსახურების უზრუნველყოფით.

კომპანიის ძირითადი არაფინანსური მაჩვენებლები ურთიერთობა თანამშრომლებთან:

კომპანიის მიერ დასაქმებული პირების საშუალო რაოდენობა 2021 წლის განმავლობაში შეადგენდა 113 ადამიანს (2020 წელს: 144 ადამიანს). ხელმძღვანელობამ დანერგა ჯანსაღი პოლიტიკა და პროცედურები ადამიანური რესურსების პროცესებთან დაკავშირებით, რაც უზრუნველყოფს, რომ თითოეულ თანამშრომელს კომპანიაში შესვლისთანავე ჰქონდეს შესაბამისი კვალიფიკაცია და მას ჩაუტარდეს შესაბამისი პრაქტიკული მომზადება, ტრენინგი და შემდგომი სწავლება. კომპანიამ ასევე შეიმუშავა ქცევის კოდექსი, რომელიც სავალდებულოა და რომელსაც ასრულებს ყველა თანამშრომელი. ქცევის კოდექსი ეხება ქცევით და ეთიკურ საკითხებს სამუშაო ძალის ფარგლებში.

ურთიერთობა მიმწოდებლებთან:

მისი დაარსებიდან დღემდე, კომპანიამ შეიმუშავა სანდო ურთიერთობა თავის ყველა მიმწოდებელთან, რაც ეფუძნება შემდეგ პრინციპებს: სამართლიანი, გასაგები და დროული ფინანსური ანგარიშსწორების სისტემა, ცოდნისა და გამოცდილების გაზიარება და ურთიერთდახმარება. კომპანიის საოპერაციო შედეგები მისი დაარსების დღიდან და ასევე მის მიერ მოპოვებული სანდოობა საშუალებას აძლევს კომპანიას, გააფორმოს კომერციული თვალსაზრისით წარმატებული გარიგებები მის უცხოელ მიმწოდებლებთან, კერძოდ, კომპანია ახდენს საქონლის იმპორტს შემდეგი ქვეყნებიდან - ევროკავშირის, დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის წევრი სახელმწიფოები, თურქეთი და აზიის სახელმწიფოები.

ურთიერთობა მომხმარებლებთან:

მისი პირველი ჰიპერმარკეტის გახსნის დღიდან, კომპანია იქცა სასურველ ბაზრად სამშენებლო და საყოფაცხოვრებო პროდუქტების თვალსაზრისით, სთავაზობს რა თავის მომხმარებელს განსაკუთრებულ საცალო გამოცდილებას, მუდმივად ზრდის და არეგულირებს მისი პროდუქციის ფართო ასორტიმენტს, ასევე უზრუნველყოფს შესაბამის მაღალი ხარისხის მომსახურებას. ამჟამად კომპანია ემსახურება მომხმარებლებს საქართველოს ყველა რეგიონიდან. ამასთან, კომპანია ინარჩუნებს მომხმარებელთა მხრიდან ლოიალობას მისი ლოიალობის საბარათე სისტემის საშუალებით, სეზონური ფასდაკლებების და მარკეტინგული კამპანიების შეთავაზების გზით, მოძრავი წესით.

ურთიერთობა პარტნიორებთან/აქციონერებთან და საგადასახადო ორგანოებთან:

კომპანიას გააჩნია კარგად ჩამოყალიბებული ფინანსური განყოფილება, დაკომპლექტებული მაღალკვალიფიციური პროფესიონალებით. ყოველივე აღნიშნული, ეფექტიან პოლიტიკასა და პროცედურებთან ერთად სააღრიცხვო ფუნქციის შესრულებისას, საშუალებას აძლევს კომპანიას

დროულად და ხარისხიანად წარუდგინოს ანგარიში ყველა დაინტერესებულ მხარეს: ხელმძღვანელობა, სამეთვალყურეო საბჭო, კომპანიის პარტნიორები და საგადასახადო ორგანოები. ხელმძღვანელობას აქვს მისი ფინანსური და საგადასახადო ანგარიშგება, რომელიც აუდიტებულია სათანადო რეპუტაციის მქონე საერთაშორისო დამოუკიდებელი აუდიტის კომპანიების მიერ. კომპანიას არ აქვს საგადასახადო ორგანოსთან დავების ისტორია, ასევე რაიმე მნიშვნელოვანი ჯარიმა და / ან პირგასამტეხლო.

ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

საკრედიტო რისკი. კომპანია ექვემდებარება საკრედიტო რისკს, რაც წარმოადგენს იმის რისკს, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ერთი მხარე მეორე მხარის ფინანსურ ზარალს გამოიწვევს, ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში.

კომპანიის ბიზნეს-მოდელის გათვალისწინებით (უმნიშვნელო დებიტორული ნაშთები და ნაღდი ფულით გადახდილი შემოსავლები), არ მიიჩნევა, რომ საკრედიტო რისკი მოახდენს მნიშვნელოვან გავლენას კომპანიაზე.

ფინანსური ინსტრუმენტების ძირითადი კატეგორიები – კომპანიის ძირითად ფინანსურ ვალდებულებებში შედის სესხები და ნასესხები სახსრები, კრედიტორული და სხვა სახის დავალიანებები. აღნიშნული ფინანსური ინსტრუმენტების ძირითადი მიზანია კომპანიის ოპერაციების დაფინანსება. კომპანიას გააჩნია სხვადასხვა ფინანსური აქტივები, როგორიცაა დებიტორული და სხვა დავალიანება და ფული და ფულის ექვივალენტები.

	2021	2020
მიმდინარე აქტივები	6,792,175	6,405,986
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	33,999	63,922
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებები	283,446	813,253
სასაქონლო მატერიალური ფასეულობები	6,441,060	5,524,357
საგადასახადო აქტივი	33,670	-
წინასწარ გაწეული ხარჯები	-	4,454
გრძელვადიანი აქტივები	3,354,064	3,631,706
ძირითადი საშუალებები	1,530,782	1,806,669
არამატერიალური აქტივები	1,823,283	1,825,036
სულ აქტივები	10,146,240	10,037,692
ვალდებულებები	4,797,524	3,632,099
მიმდინარე ვალდებულებები	4,105,169	3,131,440
მიღებული ავანსები	109,167	74,391
მოკლევადიანი სესხები	1,237,969	771,468
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებები	2,758,033	2,190,397
საგადასახადო ვალდებულებები	-	95,184
გრძელვადიანი ვალდებულებები	692,355	500,659
გრძელვადიანი სესხები	692,355	500,659

შპს "ზრიკო კავკასუს"

ხელმძღვანელობის ანგარიში - საქმიანობის მიმოხილვა, 2021 წ.

კაპიტალი	5,348,715	6,405,593
დამფუძნებლების კაპიტალი	5,637,391	5,820,759
გაუნაწილებები მოგება	(1,888,676)	(1,015,167)
სხვა რეზერვები და დაფინანსება	1,600,000	1,600,000
სულ ვალდებულებები და კაპიტალი	10,146,240	10,037,692

საბაზრო რისკი. კომპანია ექვემდებარება საბაზრო რისკებს. საბაზრო რისკები წარმოიშობა ღია პოზიციებიდან (ა) უცხოურ ვალუტებში, (ბ) საპროცენტო განაკვეთებში და (გ) კაპიტალის პროდუქტებში, რომელთაგან ყველა ექვემდებარება ზოგად და კონკრეტულ საბაზრო ცვლილებებს. ხელმძღვანელობამ განსაზღვრა ლიმიტები მისაღები რისკის მაჩვენებელთან მიმართებაში, რომელიც ყოველდღიურად კონტროლდება. თუმცა, ამგვარი მიდგომის გამოყენება ვერ უზრუნველყოფს აღნიშნული ლიმიტების გარეთ ზარალის თავიდან აცილებას, არსებითი ცვლილებების შემთხვევაში ბაზარზე.

უცხოური სავალუტო რისკი. კომპანია ასრულებს გარკვეულ გარიგებებს უცხოურ ვალუტებში. კომპანიის მიერ მკაცრად კონტროლდება სავალუტო რისკი, რათა მისმა რყევებმა არ გამოიწვიოს ფინანსური ზიანი

საპროცენტო განაკვეთის რისკი. საპროცენტო განაკვეთის რისკი არის კომპანიის ფინანსური მდგომარეობის დაქვემდებარებულობა საპროცენტო განაკვეთების ცვალებადობის ზემოქმედებაზე, რაც გამოიხატება საპროცენტო თანხების ზრდით მოზიდული სახსრების მიმართ ან გამოყოფილი სახსრებიდან მიღებული შემოსავლების შემცირებით. კომპანიას არ აქვს დანერგილი ფორმალური პოლიტიკა და პროცედურები საპროცენტო განაკვეთის რისკების სამართავად, ვინაიდან ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ არსებული გარემოებებიდან გამომდინარე აღნიშნული რისკი უმნიშვნელოა კომპანიის საქმიანობისთვის. თუმცა კომპანიის ხელმძღვანელობა მუდმივ რეჟიმში აკვირდება განაკვეთთან არსებულ რისკს, ზომავს მას და საჭიროების შემთხვევაში მზად არის შეიმუშაოს და დანერგოს ფორმალური პოლიტიკა.

არა-ფინანსური რისკები. კომპანიის წინაშე არსებული არა-ფინანსური რისკები და გაურკვევლობები ასახავს ქვეყანაში არსებულ ზოგად ეკონომიკურ სიტუაციას, მშპ-ს ზრდას და ინფლაციის მაჩვენებელს, ასევე გაურკვევლობებს ხელისუფლების მიერ ახალი რეგულაციების შემუშავებასთან, მათ დამტკიცებასა და იმპლემენტაციასთან დაკავშირებით, რაც მოიცავს ხანმოკლე ვადების განსაზღვრას ბიზნესისთვის აღნიშნული ახალი რეგულაციებისთვის მოსამზადებლად.

Covid-19-ის გავლენა. 2019 წელს დასასრულს გავრცელდა პირველი ინფორმაცია ჩინეთიდან COVID-19-ის (კორონავირუსის) გავრცელების შესახებ. წლის ბოლოს არსებული მდგომარეობით, უცნობი ვირუსის შეზღუდული რაოდენობის შემთხვევების შესახებ ეცნობა ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციას. 2020 წლის პირველ რამდენიმე თვეში ვირუსი გავრცელდა მსოფლიოს მასშტაბით და მისი უარყოფითი გავლენა კიდევ უფრო გაძლიერდა. 2020 წლის 21 მარტს საქართველოს პრეზიდენტმა გამოსცა დეკრეტი საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების შესახებ ერთი თვის განმავლობაში, რომლის საფუძველზეც დაწესდა შეზღუდვები ბიზნეს საქმიანობის მიმართ, მათ შორის საცალო და საბითუმო ვაჭრობის მიმართ. კომპანიის სავაჭრო სივრცეები დროებით დაიკეტა 2020 წლის მარტიდან. 2020 წლის მაისში კომპანიამ გახსნა მისი სავაჭრო ობიექტები საცალო მომხმარებლებისთვის და მას შემდეგ პანდემიის გავლენით დახურვას აღარ ჰქონია ადგილი. ხელმძღვანელობა არ მოელის რაიმე ზარალს საქონლის მოძველების ან საქონლის წმინდა სარეალიზაციო ღირებულების შემცირების მიზეზით (გარდა ნორმალური / საოპერაციო შემცირებისა) COVID-19-თან დაკავშირებული მოვლენების შედეგად. ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ ვირუსის გავრცელება იქნება საბალანსო უწყისის შემდგომი მოვლენების დაუკორექტირებლობა. გამომდინარე იქიდან, რომ აღნიშნული მდგომარეობა კვლავ გრძელდება წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების გაცემის თარიღისთვის, სამომავლო მოვლენების პროგნოზირება შეუძლებელია. ხელმძღვანელობა განაგრძნობს პოტენციური ზემოქმედების მონიტორინგს და მიმართავს შესაბამის ზომებს ნებისმიერი ეფექტის აღმოფხვრის მიზნით.

კომპანიის ფილიალების არსებობა

ამჟამად კომპანია ამუშავებს ერთი ჰიპერმარკეტის ფორმატის მაღაზიას.

2016 წლის 15 სექტემბერს გაიხსნა პირველი ჰიპერმარკეტი რომელიც მდებარეობს სსაქართველო, თბილისი, ვაკე-საბურთალოს

რაიონი, ვაშლიჯვარი, მეზაღეობის, მევენახეობის და მეღვინეობის ინსტიტუტის მიმდებარედ.

კვლევა და განვითარება

კომპანია ასრულებს კვლევას და განვითარებას, როგორც კომპანიის შიდა ასევე გარე რესურსით. აღნიშნული მოიცავს შიდა პოლიტიკისა და პროცედურების, საბაზრო კამპანიების, ბაზრის კვლევებს სხვადასხვა ჭრილში, პროდუქციის ნომენკლატურის წარმოების, მომსახურების მიმოხილვის, პროგნოზების, მიზანშეწონილობის კვლევების განვითარებას და დანერგვას ახალი მაღაზიების გახსნისა და სხვა საქმიანობისთვის, რაც მომზადდება, როგორც კომპანიის ფარგლებში სხვადასხვა უფლებამოსილი პირების / დეპარტამენტების მჭიდრო თანამშრომლობით ასევე „აუთსორსინგით“.

ხელმოწერილია
მამუკა დოლიძე
მთავარი აღმასრულებელი დირექტორი
დირექტორი

ხელმოწერილია
კახაბერ სონიშვილი
მთავარი ფინანსური

2022 წლის 28 სექტემბერი

კვლევა და განვითარება

კომპანია ასრულებს კვლევას და განვითარებას, როგორც კომპანიის შიდა ასევე გარე რესურსით. აღნიშნული მოიცავს შიდა პოლიტიკისა და პროცედურების, საბაზრო კამპანიების, ბაზრის კვლევებს სხვადასხვა ჭრილში, პროდუქციის ნომენკლატურის წარმოების, მომსახურების მიმოხილვის, პროგნოზების, მიზანშეწონილობის კვლევების განვითარებას და დანერგვას ახალი მაღაზიების გახსნისა და სხვა საქმიანობისთვის, რაც მომზადდება, როგორც კომპანიის ფარგლებში სხვადასხვა უფლებამოსილი პირების / დეპარტამენტების მჭიდრო თანამშრომლობით ასევე „აუთსორსინგით“.


ხელმოწერილია
მამუკა დოლიძე

მთავარი აღმასრულებელი დირექტორი



ხელმოწერილია
კახაბერ სონიშვილი

მთავარი ფინანსური დირექტორი



2022 წლის 28 სექტემბერი